ელენე სვიანაძე
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
esvia19@freeuni.edu.ge

სირიის საკითხის მნიშვნელობა ევრო-ატლანტიკის უსაფრთხოების გარემოსთვის

რეზიუმე

რუსეთ-უკრაინის მიმდინარე შეიარაღებულმა კონფლიქტმა მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე. ეს შეეხო არამხოლოდ ევროპის კონტინენტს, არამედ იმ რეგიონებსაც, სადაც კრემლი საკუთარი გავლენების გავრცელებას ცდილობს. ამას თან ახლავს ევროატლანტიკური სივრცის ფოკუსირება ევროპაში მიმდინარე კონფლიქტზე, შესაბამისად, ნაკლები ჩართულობა სხვა რეგიონებში.

მიმდინარე პროცესების ფონზე საყურადღებოა სირიის პრეზიდენტის, ბაშარ ალ-ასადის მიღება არაბული ლიგის სამიტზე და სირიასთან ურთიერთობების სტაბილიზაციის პროცესის დაწყება არაბული სახელმწიფოების მხრიდან. ზოგადად, სირიის კონფლიქტი წარმოადგენს მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ძალების დაპირისპირების ერთ-ერთ ადგილს. მაშინ, როდესაც ოპოზიციური ძალები დასავლეთის მხარდაჭერით სარგებლობენ, 11 წლიან სამოქალაქო ომში ჩართული და დასავლეთისგან თუ ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების უმრავლესობისგან იზოლირებული ასადის რეჟიმი მნიშნელოვნად არის დამოკიდებული რუსულ დაფინანსებასა და სამხედრო დახმარებაზე. ის კურსის ცვლილება კი, რომელსაც დღეს ვხედავთ არაბულ სახელმწიფოებთან ურთიერთობის აღდგენის მცდელობის სახით, რეგიონში ირანულ-რუსული გავლენის შემცირებაზე შეიძლება მიანიშნებდეს.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ მოვლენების მიზეზებისა და შესაძლო შედეგების ანალიზს ეთმობა. სტატიაში შეფასებულია უკრაინაში მიმდინარე ომის გავლენა სირიის საკითხზე. ამასთან, ნაშრომში განხილულია სირიის მნიშვნელობა ევრო-ატლანტიკური სივრცისთვის და ის, თუ რამდენად აუცილებელია ამ რეგიონის საკითხის დღის წესრიგში დაყენება დასავლეთისთვის ენერგორესურსების მიწოდების და უსაფრთხოების თვალსაზრისით. სტატია ასევე აანალიზებს ევროატლანტიკური სივრცის სახელმწიფოების მხრიდან გადადგმული და შესაძლო ნაბიჯების შედეგებს და აფასებს სამომავლო პერსპექტივებისაც საკითხის შესაძლო გადაწყვეტის შესახებ. ნაშრომი წარმოადგენს პასუხის პოვნის მცდელობას შეკითხვაზე: ნიშნავს თუ არა სირიასთან ურთიერთობის ნორმალიზება ბაშარ ალ-ასადის პარტნიორად მიღებას ან მისი რეჟიმის ლეგიტიმაციას და რა სახის შესაძლებლობებს აძლევს აღნიშნული ვითარება დასავლეთს საკუთარი ინტერების გატარებისთვის?

საკვანძო სიტყვები: ასადის რეჟიმი, ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოება, უკრაინაში მიმდინარე ომი, არაბული ლიგა, სირიის დაბრუნება არაბულ ლიგაში.

შესავალი

სირიის სამოქალაქო ომი დღემდე ახლო აღმოსავლეთის ცენტრალურ მოვლენად რჩება. კონფლიქტი, რომელიც 2011 წელს პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ მიმართული მანიფესტაციებით დაიწყო, წარმოადგენს მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ძა-

ლების დაპირისპირების ერთ-ერთ ადგილს. სამოქალაქო ომი გამოიწვია შიდა რელიგიურ-ეთნიკურმა და სოციალურმა პრობლემებმა, ასევე არაბული გაზაფხულის რევოლუციურმა ტალღამ, მაგრამ დროთა განმავლობაში, ტერიტორიების არაეფექტურმა კონტროლმა, იარაღის მიწოდებამ და ზოგადი ვითარების ქაოსურობამ, წარმოშვა ეკონომიკური და მიგრაციული პრობლემები რეგიონში, ტერორიზმის გავრცელების საფრთხესთან ერთად (Cleveland and Bunton 2019, 57).

აღნიშნულ ვითარებაში, მსოფლიოს სხვადასხვა დიდი სახელმწიფო ჩაერთო კონფლიქტში საკუთარი კონკრეტული მიზნით. მაგალითად, თურქეთისთვის მნიშვნელოვანი იყო საზღვრების დაცვა და სასაზღვრო ზოლის გასწვრივ ბუფერული ზონის შექმნა, ამიტომ კონფლიქტის პირველ ეტაპზე ასადის მთავრობასთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს, თუმცა ამით სასურველ შედეგს ვერ მიაღწია და გადავიდა ოპოზიციისა და სხვა მცირე დაპირისპირებული ჯგუფების მხარდაჭერაზე (Erlich 2016, 68).

ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის წინააღმდეგ გამოვიდნენ დასავლური სახელმწფოებიც, მათ შორის, ა.შ.შ, თუმცა ეს უკანასკნელი კონფლიქტში 2014 წლამდე, ანუ ე.წ. ისლამური სახელმწიფოს გამოჩენამდე, სამხედრო თვალსაზრისით არ ჩართულა და მოგვიანებით მხარი დაუჭირა ქურთულ დაჯგუფებებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კონფლიქტის დასაწყისიდანვე განსხვავებული პოზიცია ეჭირა რუსეთს, რომელიც დღემდე მხარს ბაშარ ალ-ასადის მთავრობას უჭერს. ვლადიმერ პუტინის განცხადებით, „რუსეთი არ ცდილობს სხვა სახელმწიფოებივით ქვეყნის შიდა საკითხებში ჩარევას“. მისთვის არსებულ მთავრობებთან მოლაპარაკება უფრო ხელსაყრელია სტაბილური სიტუაციის შენარჩუნებისთვის (Larssen 2016, 72-73). სადავოა თუ რამდენად ყოველთვის ამ პრინციპს მიყვება რუსეთი, თუმცა ლიბიისგან განსხვავებით, სირიის შემთხვევაში, პუტინის (მანამდე მედვედევის) პოზიციები სწორედ ასეთ მიდგომაზე მიანიშნებს.

რუსეთის ჩართულობა სირიის სამოქალაქო ომში

სტრატეგიული პარტნიორის სტაბილიზაციის, რეგიონში სიტუაციის დარეგულირებისა და ახლო აღმოსავლეთში საკუთარი პოზიციების გამყარების მიზნით, რუსეთი ჩაერთო სირიის სამოქალაქო ომში. ვლადიმერ პუტინისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო არაბულ გაზაფხულამდე რეგიონში არსებული ა.შ.შ-ს გავლენის შემცირება და დიდ მოთამაშედ დაბრუნება ახლო აღმოსავლეთში (Jones 2022, 68).

ამრიგად, კრემლის მხრიდან სამთავრობო ძალების მხარდაჭერა ომის პირველ წლებში ხორციელდებოდა დიპლომატიურ შეხვედრებსა და საერთაშორისო კონფერენციებზე ვენაში, ერ-რიადსა თუ ჟენევაში (RIA 2017). თუმცა, მოგვიანებით, რუსული შეიარაღებული ძალები უმნიშვნელოვანესი დახმარება აღმოჩნდა ასადის რეჟიმისთვის. მათ ერთობლივად შეძლეს ალეპოს დაკავება და დასავლეთ სირიის ძირითადი ტერიტორიების აღებაც. მძიმე ტექნიკასთან ერთად, საჰაერო იერიშების განხორციელების უნარი რუსეთს დიდ უპირატესობას აძლევდა ოპოზიციურ ძალებთან შედარებით (Jones 2022, 68). აღსანიშნავია, რომ სწორედ სირიის ტერიტორიაზე გამოიყენეს რამდენიმე ახალი წარმოების იარაღი, მათ შორის Su-35S ტიპის გამანადგურებლები.

ჯერ კიდევ 2016 წლის 17 მარტის გამოსვლაში პუტინმა განაცხადა, რომ სირიაში 460 მილიარდი დოლარის ოდენობით ხარჯები გაწია რუსეთმა, თუმცა ეს საჭირო დანახარჯი იყო მომავალი მშვიდობისთვის (TASS 2016).

ომის აქტიურ ფაზაში ჩართულობა დღეში საშუალოდ 4 მილიონი დოლარის ოდენობით ხარჯს წარმოადგენდა რუსეთისთვის (Ellyatt 2015).

დღეს სირიის კონფლიქტში მასშტაბური სამხედრო შეტაკებები ნაკლებად ფიქსირდება, რუსული გავლენა ეტაპობრივად მცირდება, ხოლო პრეზიდენტ ასადის ფინანსური მხარდაჭერაც პროპორციულად იკლებს.

უკრაინაში მიმდინარე ომის ფაქტორი

რუსეთის მიერ უკრაინაში წამოწყებული სამხედრო კონფლიქტი ფართო გეოპოლიტიკური მოვლენაა, რომელსაც თავისი გავლენა 1000 კილომეტრის მოშორებით, სირიაზეც აქვს. ეს უპირველესად განპირობებულია რუსული დაფინანსების შემცირებით, რომელიც ევროპის კონტინენტზე მიმდინარე ომისკენაა მიმართული.

სირიაში სამხედრო ჩართულობის შემცირება გამოიკვეთა უკრაინაში ომის დაწყების პირველივე თვეებში, როდესაც სირიიდან Su-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავები გაიყვანეს რუსმა სამხედროებმა. მოგვიანებით კი S-300 საზენიტო-სარაკეტო სისტემები მთლიანად მოხსნეს ყირიმის პორტებში გადასაზიდად (Al-Nofal 2022). ამას ემატება სამხედრო დანაყოფების გაყვანა სირიის ტერიტორიებიდან. მაგალითისთვის, რუსეთის გასვლამ ლატაკიის პროვინციის გარკვეული რაიონებიდან, გამოიწვია ამ ტერიტორიის დაკავება ჰეზბოლას მიერ, რომელიც ირანის მიერ მხარდაჭერილი ლიბანურ-შიიტური დაჯგუფებაა (Al Mayadeen English 2023).

სირიის დაბრუნება არაბულ ლიგაში

რუსეთის პოზიციები სირიაში სრულად დათმობილი არ არის, თუმცა, უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტის გამო იგი თანმიმდევრულად კარგავს გავლენის სფეროებს. შესაბამისად, დარჩენილი ცარიელი სივრცეების შევსებას სხვა ძალები გეგმავენ (Faulconbridge 2023). შეიძლება ითქვას, რომ კრემლის შესუსტებული პოზიციების დაკავებას ცდილობს ირანი. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა იემენსა და სუდანში მიმდინარე პროცესებში ჩარევის სურვილის გამოხატვითა და სირიის დღის წესრიგში დაყენებით, რაც კატეგორიულად მიუღებელია სუნიტური სამყაროსთვის. შესაბამისად, სირიის არაბთა ლიგაში დაბრუნება შესაძლოა იყოს დამასკოს არაბულ-სუნიტურ ორბიტაზე დაბრუნების მცდელობა.

თავის მხრივ, სირიისთვის, განსაკუთრებით 2023 წლის თებერვალში მომხდარი მიწისძვრის ფონზე, მნიშვნელოვანი გახდა ახალი ფინანსებისა და ინვესტიციების მოძიება. მწვავე ინფლაციისა და ამ საკითხზე დრუზებისმიერ ორგანიზებული მანიფესტაციების ფონზე, ეკონომიკური პრობლემების მოგვარება პუტინის რეჟიმის დახმარებით შეუძლებელი გახდა (France 24 2023). შესაბამისად, ახალი პერსპექტივა მნიშვნელოვანია ასადის მთავრობისთვისაც.

გარდა ირანისა, რუსეთის ჩანაცვლებას ცდილობს ჩინეთიც - ჯერ კიდევ ახალი ძალა ახლო აღმოსავლეთში. ჩინეთის პოლიტიკურ ამბიციებზე მიანიშნებს საუდის არაბეთსა და ირანთან მოლაპარაკებების დაწყება იემენისა და სირიის საკითხებზე. თუმცა, პირველ ეტაპზე, ჩინეთის მთავარ მიზანს წარმოადგენს რეგიონში ეკონომიკური გავლენის მოპოვებაა. ხსენებული მიზნის მიღწევის ფარგლებში, სირიის რეკონსტრუქციის - Belt and Road Initiative-ის პროექტში მხოლოდ 2019 წელს ჩინეთმა 135.7 მილიარდი დოლარის ოდენობის ინვესტიცია განახორციელა (Liu and Shu 2023).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ახლო აღმოსავლეთი ირანისა და ჩინეთის მზარდი გავლენის ქვეშ უკრაინის ომის გამო აღმოჩნდა, არაბულ ლიგაში სირიის ხელახლა მიღება კი პირველ რიგში ირანის ჩართულობის შემცირებას ემსახურება. არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული პროცესების შედეგად სირია კვლავ მოექცევა არაბული ქვეყნების გავლენის სფეროში, რაც საბოლოოდ დამასკოზე ზეწოლის ბერკეტებს კვლავ სუნიტური გრავიტაციის ცენტრების ხელში დააბრუნებს.

დასავლეთის რეაქცია

ამის ფონზე, დასავლეთის ადგილი რეგიონში ჯერ-ჯერობით არ არის ნათელი, პოზიციები კი მეტ-ნაკლებად უცვლელია. ა.შ.შ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი გმობს არაბული ლიგის მიერ სირიის მიღებას და მოუწოდებს არაბულ სახელმწიფოებს ასადის რეჟიმის იზო-

ლაციისკენ. კონგრესის განცხადებით კი ბაშარ ალ-ასადის მიღება დიქტარორებისთვის პრეცედენტის შექმნა და მათი ნორმალიზებაა (Gavlak 2023).

ევროკავშირის პრესსპიკერის პიტერ სტანოს მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადებით, ორგანიზაცია ამჟამად გამორიცხავს სირიასთან ურთიერთობების დათბობას, სანამ არ იქნება მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები გაეროს რეზოლუციების ფარგლებში. თუმცა მისივე თქმით, ევროკავშირის „პოზიცია არ არის დოგმატური და იგი გადაიხედება" (Szucs 2023).

ამის ფონზე, ერთის მხრივ საინტერესოა, თუ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს სირიაში მიმდინარე მოვლენებს ევრო-ატლანტიკური სივრცისთვის და მეორეს მხრივ, რა გამოწვევებსა და პერსპექტივებს ბადებს იგი დასავლეთისთვის.

სირიის სტრატეგიული მნიშვნელობა ევრო-ატლანტიკური სივრცისთვის

დასავლეთისთვის სირია ასადთან ერთად რჩება იზოლაციაში, ვინაიდან დიქტატორთან მოლაპარაკების წარმოება მკვეთრად მიუღებელია. სანქციების სიმძაფრე კი მოსახლეობაზე აისახება, მიუხედავად იმისა, რომ პირველადი მოხმარების საგნები შეზღუდული არ არის, სირიაში მათი მიწოდება რთულია. შემცირებული ეკონომიკური კავშირების გამო მოსახლეობას ხელი არ მიუწვდება ჯანდაცვაზე. ეს გამოყენებულია ასადის რიტორიკაში ევროპისა და ამერიკის წინააღმდეგ და მოსახლეობაშიც უარყოფით დამოკიდებულებებს აჩენს. კონფლიქტის ჩაცხრობის იზოლაციონისტური სტრატეგია დროთა განმავლობაში კი შედეგებიდან გამომდინარე არაეფექტურია (AL24news 2023). მიუხედავად ამისა, ბაშარ ალ-ასადის რეჟიმისადმი სხვანაირი მიდგომა, დასავლური რიტორიკის თანახმად, ეწინააღმდეგება მათ ფასეულობებსა და პრინციპებს.

თუმცა, პრინციპებსა და უსაფრთხოებას შორის არჩევანის გაკეთებისას, რომელი გადაწონის ეს შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს განსაკუთრებით ევროპის მომავლისათვის.

ენერგორესურსების მიწოდება

სირიის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა ევრო-ატლანტიკური სივრცისთვის ეფუძნება მის მდებარეობას აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, რაც სახელმწიფოს რეგიონალურ დინამიკასა და გლობალურ საკითხებში ჩართვის შესაძლებლობას აძლევს.

უპირველესად, მნიშვნელოვანია ენერგო უსაფრთხოების საკითხი. სირია წარმოადგენს ენერგო რესურსების ერთ-ერთ გამტარ სახელმწიფოს. უკრაინის ომის პირობებში ევროპის ენერგოუსაფრთხოებისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი გახდა ახალი გზების ძიება და რუსულ რესურსებზე უარის თქმა. ამის ერთ-ერთ საშუალებას ახლო აღმოსავლეთისგან მიღებული გაზისა და ნავთობის მარაგები წარმოადგენს, რომელიც სწორედ ლევანტის რეგიონზე გადის. ლევანტი კი ახლო აღმოსავლეთის ყველაზე კონფლიქტური ტერიტორიაა, სადაც ლიბანის შემთხვევაში ჰეზბოლა ქმნის მნიშვნელოვან საფრთხეს, ასევე ერაყის კონფლიქტური მდგომარეობა და სირია. ამის ფონზე, სირიის საკითხის სტაბილიზაციით შესაძლებელი ხდება რეგიონში უსაფრთხო დასაყრდენის გაჩენა, რომელიც განაპირობებდა ენერგორესურსების გზის სანდოობას (Gavlak 2023). მაგალითად, სირია-კატარის გაზსადენის ხმელთაშუა ზღვაზე გასვლით შესაძლებელია სამხრეთ ევროპისა და ბალკანეთის მომარაგება.

ტრანს-არაბული გაზსადენი, რომელიც მოიცავს ეგვიპტეს, იორდანიას, სირიასა და ლიბანს 2021 წლის 8 სექტმებრის შეთანხმებით უნდა გაგრძელდეს ხმელთაშუა ზღვაში. ეს შესანიშნავი შესაძლებლობაა ევროპის ენერგორესურსების ალტერნატიული გზების ძიების პროცესში (Temizer 2022).

სირიის სტაბილიზაცია გაამარტივებს სპარსეთის ყურიდან ნავთობისა და გაზის ევროპისთვის მიწოდების პროცესს, თურქეთის ან ხმელთაშუა ზღვის გავლით, თუმცა ბაშარ ალ-ასადის რეჟიმზე ირანული გავლენის ზრდის შემთხვევაში ენერგოუსაფრთხოება ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება (Gavlak 2023).

ჩინეთის მხრიდან წამოსული დაფინანსება კი ევრო-ატლანტიკურ სივრცეს ნაკლებად მიმზიდველ პარტნიორად აქცევს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით სირიისათვის, 11 წლიანი იზოლაციის შემდეგ. მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც პეკინი ინფრასტრუქტურის განვითარებაში დებს ინვესტიციას და ამცირებს სირიის დაინტერესებას ითანამშრომლოს დასავლეთთან თუ ისინი მეტი მოთხოვნების წაყენებას შეეცდებიან.

ამრიგად, ახლო აღმოსავლეთში თეირანისა და პეკინის გავლენის ზრდა ხელს შეუშლის ამ რეგიონთან თანამშრომლობის პროცესს და ეს ჩანს გასული წლიდან, როცა არაბულმა სახელმწიფოებმა ა.შ.შ-ს უარი განუცხადეს ნავთობის წარმოების გაზრდაზე (Helmore 2022).

ტერორიზმის საფრთხე

ეკონომიკური მნიშვნელობის გარდა, სირია დიდ როლს თამაშობს ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურაში. იმის გათვალისწინებით, რომ სირია-ერაყი დღემდე რჩება საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ გრავიტაციის ცენტრად, უკრაინის მიმართულებით ყურადღების გადატანისა და ახლო აღმოსავლეთში არსებული არასტაბილური უსაფრთხოების გარემოს პირობებში, არ გამოირიცხება, რომ მოხდეს ექსტრემიზმის ექსპორტი დასავლეთის მიმართულებით (Kieh and Kalu 2023, 98). ერთის მხრივ, არასტაბილური გარემო, უმძიმესი სოციალური პირობები და უკონტროლიო ცარიელი სივრცეები, იდეალური ნიადაგია ექსტრემისტული ჯგუფებისთვის, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით აქტიურად ახორციელებენ ფინანსების შეგროვება/მართვას, ახალწვეულთა რეკრუტირებას, მათ საბრძოლო მომზადებასა და ტერორისტული აქტების დაგეგმვა/ორგანიზებას. უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული საფრთხის შემცველი გახდა ხსენებული პროცესების წარმოება ონლაინ, სოციალური ქსელების მეშვეობით, როდესაც, მაგალითად სირიაში მყოფი რადიკალური ჯგუფი ახორციელებს ევროპაში მცხოვრები პირების გადაბირება/მომზადებას (Kieh and Kalu 2023, 98).

ამასთან, ევროპის უსაფრთხოების გარემოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ლტოლვილების მიგრაცია, რომელთა რიგებში შესაძლოა მოხდეს რადიკალური ელემენტების ინფილტრაცია და ლტოლვილის საფარით ევროპაში გადაყვანა. აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით საშიშია იმის გათვალისწინებით, რომ არამეგობრულ ქვეყნებს საშუალება აქვთ ხელოვნურად მოახდინონ მიგრანტთა ტალღების მიმართვა ევროპის მიმართულებით (უკრაინის ომის წინ ბელარუს-პოლონეთის საზღვარზე განვითარებული მოვლენები).

ზემოთ აღნიშნული და სხვა მსგავსი საფრთხეების პრევენციისთვის ევროპისთვის აუცილებელია სტაბილური და უსაფრთხო ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა, რათა შეიქმნას გარკვეული ბუფერული ზონა ევროპასა და არასტაბულურ და/ან არამეგობრულ ქვეყნებს შორის (ირანი, ავღანეთი, ცენტრალური აფრიკის რეგიონი). აღნიშნული ზოლის შესაქმნელად, დღესდღეობით კრიტიკულ როლს თამაშობენ ლიბია და სირია. ლიბიაში ვითარების მეტნაკლებად სტაბილიზაციისა და კრემლის გავლენების შესუსტების ფონზე, შემცირდა აფრიკიდან წამოსული საფრთხეების სიმწვავე (United States Institute of Peace 2022). შესაბამისად, მიმდინარე ეტაპზე ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურისთვის საკვანძო წერტილად რჩება სირია, სადაც დღემდე ნარჩუნდება არსტაბილური უსაფრთხეობის გარემო და მნიშვნელოვან როლს თამაშობს რუსეთისა და ირანის გავლენები (Gavlak 2023).

უნდა აღინიშნოს, რომ სირიის არაბთა ლიგაში დაბრუნება არ ნიშნავს დამასკოს პრო-დასავლური კურსის არჩევას ან დემოკრატიული მმართველობის სისტემაზე გადასვლას, თუმცა კიდევ უფრო შეამცირებს ისედაც შესუსტებულ რუსულ გავლენებს, ხოლო ირანს გადაუჭრის სახლემეთო კორიდორს ხმელთაშუა ზღვის მიმართულებით. ასევე, გარკვეულწილად შეასუსტებს ჩინეთის გავლენებს რეგიონში, რომელსაც აღარ ექნება საშუალება ითანამშრომლოს დამასკოსთან სხვა არაბული ქვეყნების გვერდის ავლით. შესაბამისად, ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, არსებულ ვითარებაში უკრაინის პარალელურად, სირია უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ევროპის ეკონომიკური და უსაფრთხეობის გარემოს სტაბილუ-

რობისთვის და დამასკოს არაბთა ლიგაში დაბრუნება დადებითად აისახება ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურაზე.

საკითხის შესაძლო გადაწყვეტა

სირიასთან ურთიერთობების ნორმალიზება არ ნიშნავს ბაშარ ალ-ასადის ახალ პარტნიორად მიღებას ან მისი დიქტატურის გამართლებას. ეკონომიკურად სტაბილური სირია მის პრეზიდენტს მისცემს ლეგიტიმაციას, თუმცა აქ საკითხი უნდა დადგეს ევროატლანტიკური მიზნების ჩამოყალიბებაზე - რა არის მთავარი - სირიელი ხალხის დახმარება და კრიზისიდან გამოყვანა, ასევე საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების განხორციელება, თუ სახელმწიფო გადატრიალება სირიაში და იქ დემოკრატიული რეჟიმის დამყარება მყისიერად? დრომ აჩვენა, რომ ასადის მთავრობის გადაყენება არც ისე იოლია (Jenne and Popovic 2017, 3). ამასთან, უახლესი მოვლენების საფუძველზე, სირიის პრეზიდენტი უკვე იღებს ლეგიტიმაციას რეგიონალური ძალებისგან, შესაბამისად, ევროატლანტიკური სივრცე უნდა მოერგოს არსებულ რეალობას და საფრთხეების შემცირების, საკუთარი უსაფრთოების მიზნით ითანამშრომლოს არაბულ სახელმწიფოებთან სირიაში სიტუაციის სტაბილიზაციისთვის. მეტი თანამშრომლობა შესაძლოა სამომავლოდ ნიშნავდეს მეტ კონტროლს არსებულ მთავრობაზე. მეტი ეკონომიკური დამოკიდებულება და სირიის მხრიდან ევროპის საჭიროების დანახვა კი ასადის რეჟიმსაც კი გარკვეულად ვალდებულს გახდის გადადგას ნაბიჯები პოლიტიკური ვითარების შეცვლისკენ, ან სულ მცირე, ოპოზიციასთან ერთად შექმნილ სირიის კონსტიტუციურ კომიტეტში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადოს (Jenne and Popovic 2017, 6).

სირიისთვის შესაძლოა ეფექტური იყოს „სუვერენული სიმდიდრის ფონდის“ შექმნა. ეს არის ეკონომიკის აღორძინების საშუალება, რომელიც გამოიყენეს სამხრეთ კორეამ, სინგაპურმა, კოლუმბიამ, პერუმ, იორდანიამ და სხვა ქვეყნებმა. იგი დაფინანსებულია შეერთებული შტატების, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის მიერ საერთო შეთანხმების საფუძველზე. ამასთან, მსგავსი პროგრამის წამოწყება დაუპირისპირდებოდა ჩინეთის მიერ შეთავაზებულ რეკონსტრუქციის გეგმას და რეალურად, ხანგრძლივ პერიოდში, ჯანსაღი ეკონომიკის შესაქმნელად იქნებოდა უფრო ეფექტური, ვიდრე მხოლოდ ერთი სახელმწიფოსგან მიღებული ფინანსები. ცხადია ასეთი მიდგომა „მოითხოვს ყურადღებას ეროვნული პოლიტიკური ლიდერების და საჯარო მოხელეების მიმართ, ასევე პარალელურად კანონის უზენაესობის კულტურის ხელშეწყობას“ (Lockhart 2018, 94).

აღნიშნული ეკონომიკური რეფორმების გასატარებლად საჭიროა საერთაშორისო დახმარება მმართველობის ფორმების შემუშავებაში. ვინაიდან სირიის საკითხზე უკვე მუშაობს ასტანას მოლაპარაკების პროცესი და მასში ჩართულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარე ირანის და რუსეთის ჩათვლით, ამავე პრინციპით შეიძლება გაგრძელდეს მუშაობა წევრების დამატებით. პროცესი შეიძლება იყოს ისეთივე, როგორიც ევროკავშირმა შეუმუშავა დასავლეთ ბალკანეთში იუგოსლავიის დაშლის შემდეგ - უკეთესი მმართველობის მშენებლობის პროგრამა (BGB) (Börzel and Grimm 2018, 123).

სირიის კონფლიქტის დასრულების ყველაზე სწრაფ გზას ასადის რეჟიმის მყისიერი დამარცხება შეიძლება წარმოადგენდეს, მაგრამ ეს დემოგრაფიულად და ფინანსურად ძვირადღირებული მეთოდია და უმეტეს შემთხვევაში გვთავაზობს კონფლიქტის დროებით შეწყვეტას. მსგავსი დასასრული ყოველთვის ტოვებს შურისძიების ადგილს, რაც მაგალითად, მოხდა ლიბიაში, 2014 წელს განახლებული სამოქალაქო ომით (Center for Preventive Actions 2022). ამრიგად, გრძელვადიანი სტრატეგია მეტად მნიშვნელოვანია და სირიის ამჟამინდელი გადაწყვეტილება დაბრუნდეს არაბულ ლიგაში ხსნის შესაძლებლობის ფანჯარას ევროატლანტიკისთვის, რათა იმოქმედოს კოორდინირებულად და სტრატეგიულად.

დასკვნა

რუსეთ-უკრაინის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ ევრო-ატლანტიკური სივრცე ბევრი ახალი გამოწვევის წინაშე დადგება ევროპის რეგიონის გარეთაც. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში ჩართვა შეიძლება აღმოჩნდეს, ენერგორესურსებისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სირიას, რომელიც ერთგვარი გეოპოლიტიკური ცენტრია. სირიაში სიტუაციის სტაბილიზაცია ხსნის შესაძლებლობის გზებს, თუმცა რომელი ძალის ჩარევით მოხდება კონფლიქტის დარეგულირება ეს მნიშვნელოვნად აისახება საერთო რეგიონალურ მდგომარეობაზე.

ევროატლანტიკური სივრცის ამოცანაა გამოიყენოს არსებული ვითარება და თეირანისა და პეკინის წინააღმდეგ, არაბული სახელმწიფოების გავლით, შეეცადოს სირიაში ვითარების დარეგულირებას, ამით კი შესუსტებული რუსული გავლენა საკუთარით ჩაანაცვლოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

Al Mayadeen English. 2023. "First Hezbollah Aid Convoy Arrives in Latakia, Syria." February 13, 2023. https://english.almayadeen.net/news/politics/first-hezbollah-aid-convoy-arrives-in-latakia-syria.

AL24news. 2023. "La Syrie réintègre la ligue arabe: quels enjeux?" May 7, 2023. Video, 23:53. https://www.youtube.com/watch?v=cmsAq5emTFg.

Al-Nofal, W. 2022. "Amid War in Ukraine, Russia Withdraws and Iran Expands in Syria." *Syria Direct*, May 4, 2022. https://syriadirect.org/amid-war-in-ukraine-russia-withdraws-and-iran-expands-in-syria/.

Börzel, T. A., and S. Grimm. 2018. "Building Good (Enough) Governance in Postconflict Societies & Areas of Limited Statehood: The European Union & the Western Balkans." *Daedalus*, 147 (1): 116–127. https://doi.org/10.1162/daed_a_00478.

Center for Preventive Actions. 2022. "Instability in Libya." *Global Conflict Tracker*, August 3, 2022. https://www.cfr.org/global-conflict-tracker/conflict/civil-war-libya (accessed December 1, 2022).

Cleveland, W. L., and M. Bunton. 2016. *A History of the Modern Middle East*. New York: Routledge.

Erlich, R. 2016. *Inside Syria: The Backstory of Their Civil War and What the World Can Expect.* Prometheus Books.

Ellyatt, H. 2015. "This is How Much Russia's 'War' in Syria Costs." *CNBC*, October 21, 2015. https://www.cnbc.com/2015/10/21/this-is-how-much-russias-war-in-syria-costs.html.

Faulconbridge, G. 2023. "Syria's Assad Would Like More Russian Bases and Troops." *Reuters*, March 16, 2023. https://www.reuters.com/world/middle-east/syrias-assad-says-would-welcome-more-russian-troops-2023-03-16/.

France 24. 2023. Actualité en direct. September 2, 2023, 08:23 PM.

Gavlak, D. 2023. "Syria's Readmission to Arab League Just One Step in Long Process." *VOA*, May 11, 2023. https://www.voanews.com/a/syria-s-readmission-to-arab-league-just-one-step-in-long-process-/7088651.html.

Helmore, E. 2022. "Saudi Arabia and UAE Leaders 'Decline Calls with Biden' Amid Fears of Oil Price Spike." *The Guardian*, March 9, 2022. https://www.theguardian.com/us-news/2022/mar/09/saudi-arabia-and-uae-leaders-decline-calls-with-biden-amid-fears-of-oil-price-spike.

Jenne, E. K., and M. Popovic. 2017. "Managing Internationalized Civil Wars." *Oxford Research Encyclopedia of Politics.* Researchgate (September): 1-14.

https://www.researchgate.net/profile/Milos-Popovic-4/publication/320077641_Managing_Internationalized_Civil_Wars_in_Oxford_Research_Encyclopedia_of_Politics/links/59ccd327aca272dcd17d20b6/Managing-Internationalized-Civil-Wars-in-Oxford-Research-Encyclopedia-of-Politics.pdf.

Jones, S. G. 2020. *Moscow's War in Syria*. Center for Strategic & International Studies.

Kieh, G. K., and K. A. Kalu. 2023. *Insurgency, Terrorism, and Counterterrorism in Africa*. Rowman & Littlefield.

Larssen, A. K. 2016. "Russia: The Principle of Non-Intervention and the Libya Case." In *Political Rationale and International Consequences of the War in Libya*, 67-85. Oxford University Press. https://doi.org/10.1093/acprof:oso/9780198767480.003.0004.

Liu, Z., and M. Shu. 2023. "The Russia-Ukraine Conflict and the Changing Geopolitical Landscape in the Middle East." *China International Strategy Review*, 5: 99-112. https://doi.org/10.1007/s42533-023-00134-5.

Lockhart, C. 2018. "In Sovereignty Strategies: Enhancing Core Governance Functions as a Postconflict & Conflict-Prevention Measure." *Daedalus. "Ending Civil Wars: Constraints & Possibilities"*, 147 (1) (Winter): 90-103. https://www.amacad.org/sites/default/files/daedalus/downloads/Wi2018_Ending-Civil-Wars.pdf.

RIA Novosti. 2020. "Peregovory v Astane po uregulirovaniyu konflikta v Sirii." March 3, 2020. https://ria.ru/20171221/1511385990.html.

Szucs, A. 2023. "EU to Assess Position on Syria after Arab League's Readmission." *Anadolu Agency*, May 8, 2023. https://www.aa.com.tr/en/europe/eu-to-assess-position-on-syria-after-arab-league-s-readmission/2892035.

TASS. 2016. "Russia's Syria Operation Cost over $460 Million – Putin." March 17, 2016. https://tass.com/politics/863079.

Temizer, M. 2022. "Lebanon, Egypt, Syria Sign Gas Flow Deal on "Arab Gas Pipeline". *Anadolu Agency*, June 21, 2022. https://www.aa.com.tr/en/middle-east/lebanon-egypt-syria-sign-gas-flow-deal-on-arab-gas-pipeline/2619106 (accessed June 3, 2023).

United States Institute of Peace. 2020. "The Current Situation in Libya." December 30, 2020. https://www.usip.org/publications/2020/12/current-situation-libya (accessed June 5, 2023).